



საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

№ბს-411-395(კ-08)

17 ივლისი, 2008წ.

ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემაღენლობა:

(თავმჯდომარე, მომხსენებელი),

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

კასატორი (მოსარჩელე)

მოწინააღმდეგე მხარე – თბილისის საქალაქო სასამართლო (მოპასუხე)

დავის საგანი – საჯარო ინფორმაციის მიუღებლობის გამო მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება

გასანივრებული სასამართლოს განჩინება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინება

კასატორის მოთხოვნა – სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განხილვის მიზნით უკან დაბრუნება

ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

2005 წლის 17 მარტს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს მოპასუხე თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის – მიმართ და მოითხოვა საჯარო

ინფორმაციის მიღებაზე უარით მიყენებული მატერიალური ზიანის – 750 აშშ დოლარის ანაზღაურება და მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მიღება.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 2005 წლის 24 იანვარს განცხადებით მიმართა მოპასუხე თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ადმინისტრაციული საქმიდან – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ, საჯარო ინფორმაციის მიღების მიზნით, საქმის მასალების გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში, საქმის მასალების ქსეროასლების გადაღება. იმავე წლის 27 იანვარს მორედ მიმართა მოპასუხეს იმავე მოთხოვნით. მოსარჩელეს, "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის კონფიდენციალურობის საფუძველზე უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე. მოსარჩელე განმარტავს, რომ ინფორმაციის მიღებაზე უარის თქმით მიადგა მატერიალური ზიანი, რაც 750 აშშ დოლარს შეადგენს. საქმის განხილვისას მოსარჩელის მიერ ზიანის ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნა განისაზღვრა 800 აშშ დოლარის ოდენობით.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 11 აპრილის განჩინებით საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შესაძლებელია ჩაბმულ იქნეს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭო, საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 14 ივლისის განჩინებით საქმე განსახილველად გადაეცა განსჯად სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ივლისის საოქმო განჩინებით, სარჩელისა გამო მოპასუხე თბილისის საქალაქო სასამართლოს, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიმართ, შესაძლებელია საქართველოს პრეზიდენტი, იუსტიციის უმაღლესი საბჭო და

საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნის ნაწილში, შეწყდა წარმოება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო, ხოლო სათანადო მოპასუხედ განისაზღვრა თბილისის საქალაქო სასამართლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა; უარი ეთქვა საჯარო ინფორმაციის მიუღებლობის გამო მიყენებული მატერიალური ზიანის – 800 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში) ოდენობით ანაზღაურებაზე.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2005 წლის 24 იანვარს განცხადებით მიმართა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს ადმინისტრაციული საქმის

ოქსტიციის უსაღვესი საბჭოს მიმართ, საქმის მასალების გაცნობისა და საქონიერების შემოხვევაში მისი ქსეროასლების გადაღების თაობაზე, რაზეც მას ეცნობა, რომ რაიონული სასამართლოს წარმოებაში იყო ადმინისტრაციული საქმე №3/25 მოსარჩელე სარჩელისა გამო მოპასუხე საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეობა სადისციპლინო საბჭოს მიმართ, მე 3 პირები საქართველოს ოქსტიციის უსაღვესი საბჭო, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეობა სადისციპლინო კოლეგიის №216 და სადისციპლინო საბჭოს 2004 წლის 1 დეკემბრის №1/6 გადაწყვეტილებების, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე. იქვე განემარტა, რომ "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეობა დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოება კონფიდენციალურია, რის გამოც განმცხადებლის თხოვნას ვერ დააკმაყოფილებდნენ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება, გარდა III თავისა, არ ვრცელდება რიგი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე, მათ შორის, საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოებზე. მითითებული კოდექსის III თავი ეხება ინფორმაციის თავისუფლებას, რომლის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირს უფლება აქვს, საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. ამავე კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულებას მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს ეს ზიანი.

სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ საჯარო ინფორმაციის გასოთხოვის ნაწილში სარჩელზე თქვა უარი, რის გამოც სასამართლომ საქმის წარმოება ამ ნაწილში შეწყვიტა წარმოებით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ, რადგან არ მომხდარა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის კანონიერების საკითხის გარკვევა, არ დადგენილა მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი ქმედება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, ამდენად ანაზღაურების მოთხოვნა მოსარჩელისაგან უსაფუძვლო იყო.

სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მიყენებულ ზიანსა და დამღარ შედეგს შორის უნდა არსებობდეს მისზე შედეგობრივი კავშირი. მოსარჩელის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ იქნა საქართველოს ოქსტიციის სადისციპლინო სასამართლო

ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან 2004 წლის სპეციალისტის ცნობები და გადასდის ქვითრები.

სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე მიმართა 2005 წლის 24 იანვარს, წერილობითი უარი ინფორმაციის გაცემაზე მიიღო 2005 წლის 27 იანვარს. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ საჯარო ინფორმაციის მიუღებლობით მიყენებული მატერიალური ზიანის დადგომასა და საქმის მასალებში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნებისთვის გაწეულ ხარჯებს შორის არ არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, მიყენებული მატერიალური ზიანი არ გამოძინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საჯარო ინფორმაციის მიუღებლობით მისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას უსაფუძვლობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივრის მოტივებისა და მოთხოვნის გათვალისწინებით, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით შეამოწმა გადაწყვეტილება და ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ, გასაჩივრებულ განჩინების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ

საუქმელებს. სააპელაციო პალატა დაეთანხმა სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და გაიზარა მათი სამართლებრივი შეფასება. საწინააღმდეგო შინაარსის არსებითი ხასიათის არგუმენტები აპელანტს არ წარმოუდგენია. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 სექტემბრის გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე კანონიერი და დასაბუთებულია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განხილვის მიზნით უკან დაბრუნება. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმხველია სააპელაციო საჩივრის ძირითად მომენტებზე. კერძოდ, პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას მისი შუამდგომლობის – მოსამართლის აცილების შესახებ – დაუკმაყოფილებლობის კანონიერებაზე ერთ-ერთი მოპასუხის – საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის – იგნორირებაზე; პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ინკვიზიციური უფლების ბოროტად გამოყენებაზე; ერთ-ერთი მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის სამართლებრივ შეფასებასა და ამ აღიარების სამართლებრივ შედეგებზე; ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის თავმჯდომარის () მიერ იგნორირებულია ამავე სასამართლოს განჩინება, რომლითაც სწორედ მას უნდა გადაეწყვიტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-5 ნაწილის ანალოგიით მთელი ადმინისტრაციული კოლეგიის აცილების საკითხი. კასატორი მოითხოვს საკასაციო სასამართლოში დაიბარონ ერთ-ერთი მოპასუხე – საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეობა სადისციპლინო კოლეგიის წარმომადგენელი ბ-ნი რომელმაც გასცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია და ამით ცნო სარჩელის ეს ნაწილი, ასევე მოითხოვს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილით და მხარეებს შორის ურთიერთობა მოაწესრიგოს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად – სამართლის ანალოგიით, ანუ დავა განსახილველად დამოკიდებულ ორგანოს მანქანის (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 160-ე მუხლის ანალოგიით), თუნდაც – არბიტრაჟს. ასეთი ქმედება ჩვეულებრივია (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) და არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ტ ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და არსებობს ვარაუდი, რომ მას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძველით.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დამკვიდრებული პრაქტიკა გაზიარებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ.

კასატორი ეურ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარი ამ საფუძველით დასაშვები არ არის.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ ეწინააღმდეგება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკას.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც კასატორს უარი უნდა ეთქვას საკასაციო საჩივრის განხილვაზე.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

საკასაციო სასამართლოს მიანია, რომ ვინაიდან გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მას უნდა დაუბრუნდეს აღნიშნული თანხის 70% – 210 ლარი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებაზე მიხედულობა დაუშვებლად;

2. დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% – 210 (ორას ათი) ლარი;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

მოსამართლეები: